

ჰიპოქლორიტზე დაფუძნებული სადეზინფექციო საშუალება

აღწერა:

Divosan Hypochlorite VT3 არის ნატრიუმის ჰიპოქლორიტზე დაფუძნებული მაღალეფექტური ოქსიდიზირებული სადეზინფექციო საშუალება და გამოიყენება კვების პროდუქტების, სასმელებისა და რძის პროდუქტების მრეწველობაში.

ძირითადი მახასიათებლები:

Divosan Hypochlorite არის კონცენტრირებული ნატრიუმის ჰიპოქლორიტის ხსნარი, რომელიც შეიცავს დამატებით მასტაბილიზებელ ნივთიერებას შენახვის ვადის გაგრძელების და ეფექტურობის გაძლიერების მიზნით. პროდუქტი მაღალეფექტურია ყველა ტიპის მიკროორგანიზმების წინააღმდეგ, მათ შორის ბაქტერიების, საფუარის სოკოს, ობის სოკოს, სპორების და ვირუსების წინააღმდეგ.

Divosan Hypochlorite გამოიყენება, როგორც საბოლოო სადეზინფექციო საშუალება როგორც ღია ასევე დახურული საწარმოს (CIP) სისტემებში. პროდუქტს ასევე აქვს სუნის გაქრობის და ლაქების მოცილების საუკეთესო თვისებები.

Divosan Hypochlorite გამოდგება ხელით, დასველებით და შესხურებით გამოყენებისთვის ღია საწარმოს დანადგარების გარეცხვისთვის და ასევე ავტომატური დოზირებისთვის CIP სისტემებში.

უპირატესობები:

- მაქსიმალურად ეკონომიური სადეზინფექციო საშუალება კვების პროდუქტების მრეწველობაში გამოყენებისთვის.
- ფართო სპექტრის სადეზინფექციო მოქმედება.
- ხელს უწყობს ლაქების მოცილებას და აქრობს სუნს.
- არ წარმოქმნის ქაფს და ადვილად ირეცხება.
- ვარგისია რბილ ან ხისტ წყალში გამოყენებისთვის.

გამოყენების წესები:

Divosan Hypochlorite გამოიყენება კონცენტრაციით 0,25-1% w/w (250-1000 ppm არსებული ქლორინის შესაბამისად), დამოკიდებულია დაბინძურების დონეზე. გამოყენების შემდეგ აუცილებელია საფუძვლიანი ჩამორეცხვა.

ტექნიკური მონაცემები

გარეგნული ფორმა: გამჭირვალე, ღია მწვანე სითხე

შედარებითი სიმკვრივე [20 °C] - 1.18

Ph (1% ხსნარი 20 °C-ზე) - 11

ჟანგბადის საჭიროება ქიმიკატში (COD) - არ აქვს

აზოტის შემცველობა (N) არ აქვს

ფოსფორის შემცველობა არ აქვს

ზემოთნახსენები მონაცემები წარმოადგენენ ტიპიურ სიდიდეებს და სპეციფიკაციებად არ უნდა განიხილებოდნენ.

ინფორმაცია უსაფრთხო დამუშავებასა და შენახვაზე

შეინახეთ თავისივე კონტეინერში დახურულ მდგომარეობაში ან (სადაც შესაძლებელია) სპეც. განკუთვნილ ცისტერნაში, მთავრად მაღალ ტემპერატურას. პროდუქტის გამოყენებისა და განთავსების შესახებ სრული ინსტრუქციის ნახვა შესაძლებელია არსებითი უსაფრთხოების მონაცემების ფურცელზე.

პროდუქტის თავსებადობა

Divosan Hypochlorite – ის უსაფრთხოა გამოსაყენებლად ყველა დონის უჟანგავი ფოლადის ზედაპირის მქონე მასალებზე, რომელიც გვხვდება სასმელების და კვების მრეწველობაში რეკომენდირებული პირობების გათვალისწინებით. გაურკვეველს შემთხვევაში, მიზანშეწონილია მასალის შემოწმება-შეფასება გამოყენებამდე. არ შეიძლება პროდუქტის გამოყენება რბილ მეტალზე, როგორცაა ალუმინი, სპილენძი და სხვა. გამოყენების შემდეგ აუცილებლად საჭიროებს ჩამორეცხვას.

ტესტირების მეთოდი:

რეაგენტები: 0.1N ნატრიუმის ტრიოსულფატი
კალიუმის იოდიდი (10%)
გოგირდმჟავა ან ფოსფორმჟავა (25%)
სახამებლის ინდიკატორული ხსნარი (1%)

პროცედურა: დაამატეთ 5 mls კალიუმის იოდიდი 100 მლ საცდელ ხსნარს. დაამატეთ 5 მლ გოგირდმჟავა ან ფოსფორმჟავა და მოახდინეთ ტიტრირება ნატრიუმის ტრიოსულფატით, სანამ არ მიიღებთ ღია ყვითელ შეფერილობას. დაამატეთ დაახლოებით 1 მლ სახამებლის ინდიკატორი და გააგრძელეთ ტიტრირება სანამ არ გაუფერულდება.

კალკულაცია: ppm აქტიური ქლორი = ტიტრი x 35.5

მოცულობები: 20 ლიტრი; 200 ლიტრი.

